BGS
ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

აპრილი / April 2024

დირექტორი გვამცნობს...

The Headmistress writes...

აპრილი უჩვეულოდ თბილი გამოდგა და ბიჯიესელებმაც დიდი დრო კლასის გარეთ აქტივობებს დავუთმეთ. გვქონდა სახლებს შორის შეჯიბრებები ჯანსაღი კვების ფარგლებში, ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში, გასვლითი გაკვეთილები, სტუმრობა რადიოში...

აპრილი მეტად დატვირთული აღმოჩნდა აგრეთვე შიდასასკოლო ოლიმპიადებით, პროექტული სწავლებით, თეატრალური დღეებით . . .

2 მაისიდან ბიჯიესში სააღდგომო დასვენების დღეებია.

წინასწარ გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას !!!

გელით სკოლაში 13 მაისს, ორმშაბათს, 9.00 საათზე

April turned out to be unusually warm this year, and we spent a lot of time outside the school building, holding friendly football matches, outdoor lessons, competitions between the Houses in the framework of healthy diet, and even visited the radio...

April was pretty busy with in-school olympiads, learning by project and theatricals as well...

This year we start the Easter Holidays on May 2, and expect you back to school on May 13, Monday, at 9 am.

We wish you all a bright, warm and happy Easter!

სტუმრად რადიო იმედში

Radio Imedi

ბიჯიესელი მერვეკლასელები რადიო იმედის პირდაპირ ეთერში მიიწვიეს სასაუბროდ თემაზე - თუ როგორ მოახერხეს კორექტურა შეეტანათ ბრიტანული გამომცემლობის „პიერსონის“ სახელმძღვანელოში.

BGS Eighth-graders were invited on the live broadcast of Radio Imedi to talk, how they managed to make corrections in the textbook of the British publishing house "Pearson".

საერთაშორისო ტურიზმის აკადემია (ITA)

International Tourism Academy (ITA)

ბიჯიესში ხშირად გვსტუმრობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. ამჯერად საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის (ITA) წარმომადგენლები გვეწვივნენ. მათ უფროსკლასელებს საინტერესო პრეზენტაცია წარუდგინეს HSLU უნივერსიტეტის (შვეიცარიის უნივერისტეტი, ქალაქი ლუცერნი) საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო მდგრადი ტურიზმის მიმართულებით.

Lucerne University of
Applied Sciences and Arts

HOCHSCHULE
LUZERN

BGS often hosts different schools of higher education. This time the guest-speakers were the representatives of International Tourism Academy. They spoke about the bachelor's programme in International Tourism of HSLU, University in Switzerland (located in Lutsen).

შიდასასკოლო ოლიმპიადა ქართულ ენაში

In-school Olympiad in Georgian Language

დედაენის დღესთან დაკავშირებით III-IV-V კლასების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ენის ოლიმპიადაში. კლასების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები და გადაეცათ სერტიფიკატები.

In connection with the “Dedaena” (Mother Tongue) Day, the students of the years 3, 4 and 5 took part in the Olympiad in Georgian Language. The winners were awarded special certificates.

სახალისო აქტივობა

Fun Activity

მეხუთე კლასებში ჩატარდა მათემატიკური თამაში mathman.je სამაგიდო თამაშის Jumanji-ის წესების მიხედვით. 84 ქულით გაიმარჯვეს ბრიტებმა.

A mathematical game „Mathman.je“ was held for the fifth-graders. The rules of this board-game were made according to „Jumanji“. Brits won gaining 84 points.

სწავლა კეთებით საინტერესოა

Learning by Making is Very Interesting

მეხუთეკლასელებმა შეისწავლეს აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებები, ნარევთა განცალკევების სხვადასხვა მეთოდი და ფიზიკურ - ქიმიური პრეცესი; ჩაატარეს არაერთი ექსპერიმენტი საკლასო გარემოსა თუ სახლში. კარგად გაიაზრეს, როგორ გამოიყენონ შეძენილი ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

The fifth-graders studied changes in the state of aggregation, various methods of separating mixtures, and physical and chemical changes; They conducted a series of experiments in the classroom and at home, realizing well how to use the acquired knowledge in everyday life.

სახალისო სწავლება დიორამებით

Exciting Learning by Dioramas

In the frame of the lesson of Georgian Language, the third-graders worked on the project “The fables by Sulkhan-Saba Orbeliani”. They read his fables, constructed the dioramas and made the audio-visual recording of their work.

მესამელასელებმა ქართული ენის გაკვეთილის ფარგლებში იმუშავეს პროექტზე - სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები.ისინი გაეცნენ ქართველი მეიგავის არაკებს, დაამზადეს დიორამები და გააკეთეს მისი აუდიო - ვიდეოჩანაწერი.

იოსებ გრიშაშვილი - თბილისის მეხოტბე

Ioseb Grishashvili _ The Bard of Tbilisi

მეოთხეკლასელები იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმს ეწვივნენ. ბავშვებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები, დაათვალიერეს მისი პირადი ნივთები, მუსიკალური საკრავები, აფიშები, ძველი თბილისისა და გამოჩენილი პიროვნებების ფოტოები და ასე აღნიშნეს თბილისის მომღერალი პოეტის 135 წლის იუბილე. პატარა სტუმრებს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

The fourth-graders visited Ioseb Grishashvili's home-museum. They read the poet's verses, and explored his personal belongings: musical instruments, posters and photos of famous people. This was how our students celebrated the 135th anniversary of the bard of Tbilisi. The workers of the National Science Library presented the young guests with memorable gifts.

The Monument of the Mother Tongue

დედაენის ძეგლი

The first-graders had their outdoor lesson in Dedaena Park. It was a very enjoyable educational activity. There the children visited the monument of “The Mother Tongue” created by the famous sculptor Elguja Amashukeli. The children came to know that the monument was dedicated to their beloved text-book “Deda Ena” (Mother Tongue) written by Iakob Gogebashvili.

პირველკლასელებს გასვლითი გაკვეთილი ჩაუტარდა დედაენის ბაღში. ეს იყო შემეცნებით - სახალისო აქტივობა. მათ ნახეს ელგუჯა ამაშუკელის მიერ გამოქანდაკებული დედაენის ძეგლი. ბავშვებმა შეიტყვეს, რომ მათ საყვარელ და უმნიშვნელოვანეს წიგნს - იაკობ გოგებაშვილის “დედა ენას” მიეძღვნა ეს მონუმენტი.



„დიალოგების" გასვლითი გაკვეთილი

Outdoor Lesson in Dialogues

პროექტ „დიალოგების“ ფარგლებში მეცხრე კლასელები მცხეთას ეწვივნენ. მათ ქართლის გაქრისტიანების ისტორიის ვიზუალიზაცია მოახდინეს მცხეთის ჯვრის, სამთავროს და სვეტიცხოვლის ტაძრებში. მოსწავლეებმა ინტერვიუები ჩაწერეს ერთმანეთთან და ვიდეოკოლაჟის სახით წარმოადგენენ.

The ninth-graders visited the old capital city of Georgia, Mtskheta, in the framework of the project “Dialogues”. There they visualized the history of converting Kartli into Christianity seeing The Jvari Monastery and Svetitskhoveli Cathedral. The students interviewed one another and presented the interviews in the form of the video-collage.

ჯანსაღი ცხოვრების კვირეული ბიჯიესში

A Week of Healthy Life in BGS

გაზაფხულის სასიამოვნო და თბილი დღეები მაქსიმალურად დატვირთული იყო სპორტული აქტივობებით. სახლებს შორის გაიმართა არაერთი შეჯიბრი: მხიარული სტარტები, მარათონი ლისზე, საჭადრაკო და საფეხბურთო ტურნირი.

მთელი კვირის განმავლობაში ხალისიანი განწყობა იყო ბიჯიესში.

Pleasant and warm spring days were full of sports activities. A number of competitions were held between the houses: fun starts, a marathon at Lisi, a chess and football tournament.
There was a cheerful mood in BGS all week long.

Musical Assembly

მუსიკალური ასამბლეა

მეოთხეკლასელებმა ასამბლეაზე კლასიკური და თანამედროვე მუსიკით გვასიამოვნეს: ნინო კაკაბაძემ დაუკრა შუბერტის მენუეტი, ქეთევან რაზმაძემ - ნაწყვეტი ვერდის ოპერიდან “აიდა", მელისა აჩიქგოზმა კი საოცარად გვიმღერა cup's song, მას მეხუთეკლასელი მეგობრები - მარიამ ოძელაშვილი და ნელიკო იოსელიანი დაეხმარნენ.

The fourth-graders made us happy with their wonderful performance of the classical and modern pieces of music. Nino Kakabadze played Schubert’s minuet, and Ketevan Razmadze played an excerpt from Verdi's opera "Aida", while Melisa Achikgoz, assisted by the fifth-graders Mariam Odzelashvili and Neliko Ioseliani, sang “Cup’s Song”.

თეატრალური დღეები ბიჯიესში

Theatre Days in BGS

ბიჯიესელების ესპანურენოვანი წარმოდგენა - “ოჯახი გვარად კილო”

Spanish-language Play "Family by the Name of Mood"

On April 23, on the day of the death of Cervantes and Shakespeare, eighth-graders studying Spanish presented the Spanish-language play "Family by the Name of Mood" in the Chamber Theatre. It was a story about the cherishes desire of a student to travel in the world of Spanish grammar, namely in three moods _ Indicative, Subjunctive, and Imper ative, and all ten related tenses.

The sole purpose of this project was to introduce students to the third foreign language in an exciting game form.

Commissioner for Affairs of the Kingdom of Spain, Markos Grandos Gomez, attended the show and highly rated the students’ performance.

Many thanks to the author of the idea of the project, the teacher of the Spanish language Marika Chhartishvili, and to excellent performers, our eight-graders, for their hard work and a wonderful evening.

23 აპრილს, სერვანტესისა და შექსპირის გარდაცვალების დღეს, კამერულ თეატრში ესპანური ენის შემსწავლელმა მერვეკლასელებმა წარმოადგინეს ესპანურენოვანი დადგმა “ოჯახი გვარად კილო”. ეს არის ამბავი ერთი მოსწავლის სიზმრის შესახებ - მოგზაურობა ესპანური გრამატიკის სამყაროში - სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი და მასთან დაკავშირებული ათივე დრო.

ამ პროექტის ერთადერთი მიზანი იყო, მოსწავლეებს მესამე უცხოური ენა სახალისო ფორმით გაეცნოთ და გაეთავისებინათ.

წარმოდგენას დაესწრო ესპანეთის სამეფოს საქმეთა რწმუნებული - მარკოს გრანდოს გომესი და ძალიან კარგად შეაფასა ეს ნამუშავარი.

დიდი მადლობა პროექტის იდეის ავტორს, ბიჯიესის ესპანური ენის მასწავლებელს - მარიკა ჩხარტიშვილსა და მერვეკლასელებს, არაჩვეულებრივ მსახიობებს, თავდადებული შრომისა და შესანიშნავი საღამოსათვის.

Theatre Days in BGS

Theatre and the Band "Itsani" at BGS

თეატრალური დღეები ბიჯიესში

სტუმრად თეატრი და ბენდი „იცანი“ ბიჯიესში

The cultural and Educational Centre "Itsani" organized the visit of the Young Spectators Theatre at our school. The senior classes watched the performance "Grigol Peradze" staged by the director Goga Tavadze. After the interesting performance, we enjoyed a wonderful concert given by the band "Itsani".
Many thanks to the organizers of the event for such a good project.

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „იცანის“ ორგანიზებით ბიჯიესში გვესტუმრა თეატრი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობებმა უფროსკლასელთათვის წარმოადგინეს რეჟისორ გოგა თავაძის სპექტაკლი - „გრიგოლ ფერაძე“.
საინტერესო წარმოდგენის შემდეგ კი ბენდი „იცანის“ შესრულებით სასიამოვნო კონცერტს დავესწარით.
დიდი მადლობა ორგანიზატორებს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის ხორცშესხმისათვის!

Theatre Days in BGS

თეატრალური დღეები ბიჯიესში

Marionette show

მარიონეტული წარმოდგენა

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები კამერულ თეატრს ესტუმრნენ. მათ ნახეს მარიონეტული წარმოდგენა - “სცენები დონ კიხოტის ცხოვრებიდან”. ეს გახლდათ ძალიან საინტერესო და ორიგინალური წარმოდგენა.

Primary stage students visited the Chamber Theatre to watch the marionette show “Scenes from the Life of Don Quixote”, which was a very interesting and fresh interpretation indeed.

Friendly Football Match

ამხანაგური შეხვედრა

A friendly football match was held between the senior student teams of BGS and Free School. The Free School team won the match after the series of penalty shootouts.

ბიჯიესის უფროსკლასელთა საფეხბურთო გუნდსა და თავისუფალ სკოლას შორის გაიმართა ამხანაგური მატჩი. პენალტების სერიაში თავისუფალმა სკოლამ მოიგო.

Congratulations მილოცვები

Another PhD at BGS

კიდევ ერთი ბიჯიესელი მასწავლებელი დოქტორის ხარისხით.

ბიჯიესის მთელი გუნდი ულოცავს ჩვენს ისტორიის მასწავლებელს, სოფიო ქადაგიშვილს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებას.

The whole BGS team congratulates our history teacher Sofia Kadagishvili on obtaining the academic degree of doctor.

მილოცვები
Congratulations

პიანისტთა დუეტების კონკურსი
The Pianist Duet Competition

ჩვენმა მერვეკლასელმა, ლუკა ლობჟანიძემ პიანისტთა დუეტების კონკურსში პირველი ადგილი დაიმსახურა. მან თავის მეწყვილესთან - მარიამ ალიბეგაშვილთან - ერთად შეასრულა ვაჟა აზარაშვილის მუსიკალური კომპოზიციები.

ვულოცავთ ლუკასა და მარიამს ამ გამარჯვებას!

Our eighth-grader, Luka Lobzhanidze, won the first place in the Pianist Duet Competition. He and his partner, Mariam Alibegashvili, played the musical compositions by Vazha Azarashvili.

We congratulate Luka and Mariam on their great success!



წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.